წლიური ანგარიში
2014

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

თბილისი, 2015

სარჩევი

2 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მიმართვა

3 სამეცნიერო საბჭო

4 საქმიანობა

5 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

5/ ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

6/ გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

7/ მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

8/ საკონფერენციო გრანტები

9/ საზაფხულო სკოლები

10 ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა

10/ ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

11/ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი

12/ ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები

13/ მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

14/ უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტი

15/ სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

19 მეცნიერების პოპულარიზაცია

19/ კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

20/ ნორჩ გამომგონებელთა კონკურსი "ლეონარდო და ვინჩი"

20/ საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადა

21 სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა

21/ ESEVIER - მონაცემთა ბაზა

22/ სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი

22/სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „ქართული ელექტრონული ლექსიკონები“

22/ „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის

23 2014 წელს მიმდინარე და დასრულებული პროექტები

24 ფინანსური ანგარიში

25 ფონდის დაფინანსებით გამოცემული წიგნები

მარინე ჩიტაშვილი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის, კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერისთვის. 2014 წლის ბოლოს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ შეიმუშავა შემდგომი ათწლიანი განვითარების სტრატეგია, რომლის მიზანია ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირება. ფონდისთვის ეს ნიშნავს საკუთარი სტრატეგიის გადახედვას და ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომლის ძირითადი სამიზნეები იქნება სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა, ინოვაციების, ცოდნის ტრანსფერის, მოკლევადიანი ეკონომიკური ეფექტის მქონე კვლევისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2015 წლისთვის შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც ერთი მხრივ, უპასუხებს განათლებისა და მეცნიერების 10 წლიანი განვითარების სტრატეგიას და მეორე მხრივ, გაზრდის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ეფექტიანობის მონიტორინგს საკუთარი საქმიანობის ფარგლებში კვლევითი პოტენციალის გაძლიერებისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

აუცილებელია მეცნიერებისა და სამეცნიერო პოტენციალის დინამიკური, მუდმივი განვითარება, ამისათვის კი საჭიროა გაიზარდოს მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების შედინება. შესაბამისად, ფონდი მიმდინარე წელს აამოქმედებს მეცნიერების პოპულარიზაციის მრავალწლიან პროგრამას.

მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა მეცნიერების მართვის შედეგზე დაფუძნებული მოდელის ფორმირების მიმართულებაზე, რომელიც გულისხმობს: მეცნიერების ხარისხის მართვისა და დაფინანსების სრულყოფას; კვლევით საქმიანობაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაგრძელებას; კვლევითი პროდუქტის კომერციალიზაციის ხელშეწყობას.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება, გახდეს H2020 ასოცირებული წევრი, ევროპულ სამეცნიერო-საგრანტო პროგრამებში საქართველოს მეცნიერთა პირდაპირი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ეროვნული სამეცნიერო ფონდისთვის ახალ ამოცანებს აყენებს.

2015 წლიდან, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახალი წესდებით იწყებს მუშაობას და მისი ძირითადი მიზანია შექმნას მეცნიერების დაფინანსებისა და მართვის ეფექტური სისტემა, რომელიც მოემსახურება საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ინტერნაციონალიზაციას, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერას, ერთიანი სამეცნიერო საინფორმაციო პორტალის შექმნას, მეცნიერების განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრების ეფექტიანობის მონიტორინგს, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს აკადემიურ სფეროში მოღვაწე, თუ მეცნიერებით დაინტერესებული ფართო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, კონსენსუსის, საღი აზრისა და მეცნიერების საგრანტო დაფინანსების ახალი სისტემით მივაღწევთ ევროპული სტანდარტების დანერგვასა და გადმოტანას ქართულ სივრცეშიც.

ფონდის სამეცნიერო საბჭო

თამარ სანიკიძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

თამაზ მარსაგიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;

ნათია მიქელაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

მანანა ბერიკაშვილი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;

გაიოზ თალაკვაძე - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი;

ავთანდილ სილაგაძე - სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

ალექსანდრე ხარაზიშვილი - სსიპ საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

რისმაგ გორდეზიანი - სსიპ საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

ნოდარ ჩხარტიშვილი - სსიპ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

ავთანდილ კორახაშვილი - სსიპ საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

ბენედიქტე წერეთელი - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი;

გიორგი ვაშაკიძე - ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;

ლერი ქურდაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მოწვეული წევრი;

გიორგი ღვედაშვილი - ა(ა)იპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

რიმა ბერიაშვილი - ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.

საქმიანობა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2010 წლიდან არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ფონდი დაფუძნებულია საგრანტო სისტემით მეცნიერებათა დაფინანსების მიზნით და საკონკურსო წესით ახორციელებს სამეცნიერო აქტივობების დაფინანსებასა და ხელშეწყობას.

ფონდის ძირითადი მიზნებია:

- საქართველოში სამეცნიერო საქმიანობის განვითარების ფინანსური ხელშეწყობა;
- ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კვლევითი და ინოვაციური პროექტების დაფინანსება;
- ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების ხელშეწყობა;
- მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- ქართული აკადემიური წრეების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

ფონდის საქმიანობის პრიორიტეტებია:

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

- ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი;
- გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსი;
- ერთობლივი კვლევევბი უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით;
- დოქტორანტურის სამეცნიერო პროექტების საგრანტო კონკურსი;
- ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები;
- მიზნობრივი პროექტები საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით.

ქვეყნის მატერიალური, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია

- საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისთვის სახელმწიფო გრანტები;

საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და ურთიერთობების ხელშეწყობა

- საზაფხულო სკოლების საგრანტო კონკურსი;
- საერთაშორისო სამეცნიერო საკონფერენციო საგრანტო კონკურსი;
- მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები;
- ერთობლივი საგრანტო კონკურსები ევროპული და ამერიკული თანამშრომლობის ფარგლებში;

სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა

- საერთაშორისო გამოცემებსა და მონაცემთა ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო აპარატურის სახელმწიფო გრანტები.

მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა

- „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები;
- მოსწავლე გამომგონებელთა კონკურსი "ლეონარდო და ვინჩი";
- საერთაშორისო ოლიმპიადებში ქართველ მოსწავლელთა მონაწილეობა .

2014 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდმა საგრანტო პროექტები დააფინანსა ათი სამეცნიერო მიმართულებით:

- ქართველოლოგიის მეცნიერებები;
- ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
- საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
- საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
- მათემატიკური მეცნიერებები;
- ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
- სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- სამედიცინო მეცნიერებები;
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
- აგრარული მეცნიერებები.

ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღება ამა თუ იმ სამეცნიერო დარგში.

2013 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოაცხადებული ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსზე დარეგისტრირდა 548 საპროექტო განაცხადი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით 2014 წელს დაფინანსდა 86 პროექტი. ბიუჯეტი - 10 947 555 ლარი.

სურათი 1. ფუნდამენტური კველვის კონკურსის გამარჯვებული პროექტები მიმართულებების მიხედვით



გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის ისეთი სამეცნიერო კვლევების შემდგომ განვითარებას, რომელიც ორიენტირებულია, საერთაშორისო ან ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად, მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროდუქტის შექმნაზე. 2013 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოაცხადებული გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსზე დარეგისტრირდა 219 საპროექტო განაცხადი. 2014 წელს დაფინანდა მიიღო 27 პროექტი.
ბიუჯეტი - 4 548 427 ლარი.

სურათი 2. გამოყენებითი კველვის კონკურსის გამარჯვებული პროექტები მიმართულებების მიხედვით



მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების კონკურსის მიზანია საქართველოს სამეცნიერო წრისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება და გაძლიერება, საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაცია.

2014 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო 5 კონკურსი. სულ ფონდში დარეგისტრირდა 356 საკონკურსო განაცხადი საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად. შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა 35 ქვეყანაში დაგეგმილი 117 განაცხადი.
ბიუჯეტი - 376 187 ლარი.

სურათი 3. დაფინანსებული პროექტების გადანაწილება მიმართულებების მიხედვით

სურათი 4. გამარჯვებული გრანტიორების რაოდენობა ქვეყნებისა და გენდერული ნიშნის მიხედვით

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

საკონფერენციო გრანტები

კონკურსის მიზანია საქართველოში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება.

2014 წელს შემოსული 87 საპროექტო განაცხადიდან დაფინანსდა 22 პროექტი.

ბიუჯეტი - 556 099 ლარი

სურათი 5. საკონფერენციო გრანტების გადანაწილება მიმართულებების მიხედვით



სურათი 6. საკონფერენციო გრანტების გადანაწილება მიმართულებებისა და გენდერული ნიშნის მიხედვით

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

ზაფხულის სკოლები

2014 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლისა“ და „საზახფულო სკოლის“ კონკურსები.

„ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის“ საგრანტო კონკურსის მიზნია საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზება, ქართული კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, ქართველოლოგიის სხვა და სხვა დარგით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტთა და მეცნიერთა მოზიდვა. 2014 წელის დაფინანსდა 2 საგრანტო პროექტი.

„საზაფხულო სკოლის“ საგრანტო კონკურსის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა აკადემიური დონის ასამაღლებლად და კვლევების განვითარების ხელშესაწყობად საზაფხულო სკოლების ორგანიზება და განხორციელება საქართველოში. „საზაფხულო სკოლის“ საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსდა 8 პროექტი

ორივე კონკურსის ფარგლებში დარეგისტრირდა სულ 39 საპროექტო განაცხადი. ფონდის სამეცნიერო. ბიუჯეტი - 358 705 ლარი.

სურათი 7.



ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა

ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

კონკურსის მიზნია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში, და საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების დამყარება კოლეგებთან. კონკურსის ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერებს საშუალება ეძლევათ სტაჟირება გაიარონ უცხოეთის წამყვან ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში.

2014 წელს გამოცხადებულ კონკურსზე დარეგისტრირდა 80 საპროექტო განაცხადი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით საგრანტო დაფინანსება მიიღო 42-მა პროექტმა 14 ქვეყანაში დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის. ბიუჯეტი - 565 307 ლარი.

სურათი 8. ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირების კონკურსში გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



სურათი 9. სტაჟირების კონკურსში გამარჯვებულთა რაოდენობა ქვეყნებისა და გენდერული ნიშნის მიხედვით





დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის, მისი თანმდევი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და უცხო ენის სწავლის დაფინანსების გზით: სახელმწიფოში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადება; სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სწავლის გადასახადი, სადოქტორო კვლევისთვის საჭირო ხარჯები, აგრეთვე საზღვარგარეთ სტაჟირებადა/ან კონფერენციაზე გამგზავრება და მონაწილეობა.

2013 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოაცხადებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსზე დარეგისტრირდა 249 საპროექტო განაცხადი. ექსპერტთა გადაწყვეტილებით 2014 წელს დაფინანსდა 135 პროექტი.

ბიუჯეტი - 1 935 850. 50 ლარი.

სურათი 10. დაფინანსებულ დოქტორანტთა გადანაწილება მიმართულებებისა და გენდერული ნიშნის მიხედვით



ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას, მათ პროფესიულ წინსვლასა და საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას.

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2013 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ,,ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები" დარეგისტრირდა 105 საპროექტო განაცხადი. ექსპერტების შეფასებების საფუძველზე ფონდმა დაადგინა პროექტების რანჟირებული ნუსხა ცალკე მაგისტრებისთვის და ცალკე დოქტორებისთვის. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ახალგაზრდა მეცნიერთა პროექტის დასაფინანსებლად გაიცა 68 გრანტი. 2014 წელს დასრულდა 68 პროექტი. ბიუჯეტი - 922 595 ლარი.

სურათი 11. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა მიმართულებებისა და გენდერული ნიშნის მიხედვით



მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

2014 წელს გამოცხადდა მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და უკრაინაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (მტცუ) ერთობლივი კონკურსი, რომელიც მოიცავს სამ პრიორიტეტულ მიმართულებას: ბიოტექნოლოგიები და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; ახალი მასალები და ნანოტექნოლოგიები; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კონკურსის მიზანია შეარჩიოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები შოთა რუსთაველის ეროვნულ სა-მეცნიერო ფონდსა და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრს (მტცუ) შორის შეთანხმებული პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებიდან.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა 88 პროექტი. პირველ ეტაპზე, ქართველ დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, კონკურსის პირობების თანახმად, შეირჩა 26 საპროექტო წინადადება. საერთაშორისო ექსპერტების მიერ გაკეთებული შეფასებების გათვალისწინებით მტცუ-ის მმართველთა საბჭომ შეარჩია 11 პროექტი, რომლებიც დაამტკიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ.
ბიუჯეტი - 384 999 დოლარი.

სურათი 12. დაფინანსებული პროექტებისთვის გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებებისა და გენდერული ნიშნის მიხედვით



უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის კონკურსი

პროექტის მიზანია საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში მომუშავე წარმატებულ თანამემამულეებთან საქართველოს სამეცნიერო კადრების მჭიდრო პროფესიული ურთიერთობის ხელშეწყობა. საგრანტო დაფინანსება დაეხმარება საქართველოში მომუშავე მკვლევრებს, უკეთ გაეცნონ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს და აითვისონ თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიები. ერთობლივი პროექტების განხორციელება ქართული სამეცნიერო დიასპორის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, მუდმივი საქმიანი კონტაქტი ჰქონდეთ სამშობლოსთან და თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ საქართველოში მეცნიერების დონის ამაღლებას. კონკურსში მონაწილეობდა 43 საპროექტო განაცხადი. სულ დაფინანსდა 12 პროექტი. ბიუჯეტი - 1 758 152 ლარი.

სურათი 13. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა მიმართულებებისა და გენდერული ნიშნის მიხედვით



ერთობლივი საერთაშორისო პროექტები

გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრთან - Forschungszentrum Jülich (JÜLICH) ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსი.

კონკურსის მიზანია შესაძლებლობა მისცეს საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს შეასრულონ თავიანთ საკვალიფიკაციო ნაშრომთან დაკავშირებული კვლევები, როგორც ფუნდამენტური, ასევე, გამოყენებითი მიმართულებით, მსოფლიოში ცნობილი JÜLICH-ის კვლევითი ცენტრის ბაზაზე შემდეგ მიმართულებებში: მათემატიკური მეცნიერებები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საინჟინრო მეცნიერებები, სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები. სულ დაფინანსდა 5 პროექტი. ბიუჯეტი - 51 925 ევრო.

სურათი 13. დაფინანსებული პროექტები მიმართულებებისა და გენდერული ნიშნის მიხედვით



ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთკავკასიაში“ კონკურსი

კონკურსის მიზანია საქართველოს სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება საფრანგეთის რესპუბლიკასთან, მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი) და უკრაინასთან. კონკურსის სამეცნიერო მიმართულებაა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები. კერძოდ, მცირე კავკასიონის (სამხრეთ კავკასიონის) ქედის ბუნებრივი რესურსების (წიაღისეულისა და ნახშირწყლების) და ტექტონიკური აქტიურობის (სეისმოლოგიური რისკების შედეგების) კვლევა.

კონკურსში გამარჯვებულ ქართველ მეცნიერთა ჯგუფი შეუერთდა საერთაშორისო კვლევით ჯგუფს - „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში“, რომლის კოორდინატორია დოქტ. მარკ სოსონი. დაფინანსდა 1 პროექტი. ბიუჯეტი - 60 000 ევრო

ერთობლივი საერთაშორისო პროექტები

- **აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) მიერ პროგრამის - „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნის” კონკურსი.**

  კონკურსის მიზანია აშშ-ის თავდაცვისა და საფრთხეების შემცირების სააგენტოსა (DTRA) და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების საერთო ინტერესის სფეროში შემავალი მაღალი დონის, ინოვაციური ხასიათის ბიოლოგიური კვლევის ხელშეწყობა და კვლევისა და განათლების პროცესების ჰარმონიზაცია. პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები: მათემატიკა, მექანიკა, ფიზიკა, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები.

  კონკურსზე წარმოდგენილი 5 საპროექტო წინადადებიდან დაფინანსდა 1 პროექტი.
  ბიუჯეტი - 60 000 დოლარი

- **“ქართველი ქალებისათვის სამეცნიერო კვლევითი გრანტის“ კონურსი,** რომლის თემატიკაც ითვალისწინებს STEM-ის სფეროს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, აგრეთვე, მათ სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საინჟინრო და ტექნოლოგიურ კვლევებს.

  კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოქალაქე ნიჭიერ დოქტორანტ ქალებს დისერტაციაზე მუშაობაში და სამეცნიერო კვლევებში ქალთა ჩართულობის ზრდას.

  კონკურსში წარმოდგენილი 37 საპროექტო წინადადებიდან აშშ-ისა და საქართველოს დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებების შედეგად გამოვლინდა 10 გამარჯვებული დოქტორანტი ქალი. ბიუჯეტი 16 390 დოლარს.

სურათი 14. დაფინანსებული პროექტები მიმართულებების მიხედვით



„კვლევითი გრანტების პროგრამის" კონკურსი

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს მაღალი დონის, ინოვაციური ხასიათის ბიოლოგიურ კვლევას, რომელიც წარმოადგენს აშშ-ის თავდაცვისა და საფრთხეების შემცირების სააგენტოსა (შემდგომში - DTRA) და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების საერთო ინტერესის სფეროს, შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა და DTRA-ს ერთობლივ ბიოლოგიური ჩართულობის პროგრამის (შემდგომში - CBEP) მიზნებსა და კვლევით პრიორიტეტებს.

საკონკურსოდ დარეგისტრირებული 15 საპროექტო განაცხადიდან, დაფინანსდა 2 პროექტი.
ბიუჯეტი - 140 000 ლარი.

სურათი 15. დაფინანსებული პროექტები გენდერული ნიშნის მიხედვით



„ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა მხარდაჭერის" 2013 წლის კონკურსი

კონკურსისთვის შერჩეული სამეცნიერო თემატიკა მოიცავს ბიოსამედიცინო კვლევების ისეთ სფეროებს, რომლებიც შედის DTRA-ს ერთობლივი ბიოლოგიური ჩართულობის პროგრამის (შემდგომში - CBEP) ფარგლებში და ხელს უწყობს საქართველოს ინტერესებში შემავალი შესაბამისი პრობლემების გადაწყვეტას. კონკურსზე დაიშვება, აგრეთვე, ის კვლევები, რომლებიც მიეკუთვნება ფონდის მიერ შეთავაზებულ, საქართველოსთვის მნიშვნელოვან, სამეცნიერო თემატიკას: გარემო და ჯანმრთელობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, საკვები პროდუქტების უსაფრთხოება.
კონკურსზე წარმოდგენილი 11 საპროექტო წინადადებიდან დაფინანსდა 8 პროექტი.
ბიუჯეტი - 91 888 დოლარი.

დიაგრამა 16. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა გენდერული ნიშნის მიხედვით



საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) „მეცნიერებისა და კონკურსის მიზანია მეცნიერებისა და ბიზნესის დაახლოება, ინოვაციურ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული იდეის ბაზარზე წარმოდგენის ხელშეწყობა, ყველაზე პერსპექტიული ახალი ტექნოლოგიების გამოვლენა და ფინანსური მხარდაჭერა, ამერიკელი ექპერტების სისტემატური საკონსულტაციო დახმარების უზრუნველყოფა. საპროექტო განაცხადების თემატიკაა: საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; ბ) ენერგეტიკა; გ) ბიოტექნოლოგიები; დ) სოფლის მეურნეობა; ე) ახალი მასალები; ვ) ჯანდაცვა.

დაფინანსდა 5 პროექტი. ბიუჯეტი - 143 000 ლარი.

სურათი 17. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა გენდერული ნიშნის მიხედვით



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული 2013 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტები

საგრანტო კონკურსის მიზანია: ა) მეცნიერების სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება-გაფართოება და ქართველ მეცნიერთა კვლევების დონის ამაღლება;

ბ) ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივ კვლევებში აქტიური ჩართვა და ევროპულ კვლევით სივრცეში მათი ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შეირჩევა ერთობლივი სამეცნიერო პროექტები შემდეგი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებიდან; ა) მათემატიკა, მექანიკა; ბ) ფიზიკა; გ) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები.

საკონკურსოდ წარმოდგენილი 9 განაცხადიდან დაფინანსდა 3 პროექტი. ბიუჯეტი - 60 000 ევროს.

სურათი 18. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა გენდერული ნიშნის მიხედვით



კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" მიზანია მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება, განათლებისა და კვლევების დაახლოება; კვლევების პოპულარიზაციის გზით სკოლის მოსწავლეთა დაინტერესება მეცნიერებით; მოსწავლეთა შორის კვლევითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა;

პედაგოგთა მოტივაციის ამაღლება მოსწავლეთა კვლევებში ჩასართავად; მეცნიერთა, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერთა, ინტერესის გაზრდა სასკოლო პროცესში მონაწილეობისათვის; სასწავლო პროცესში ისეთი სიახლეების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას; დაეხმარება

მოსწავლეს გაიაზროს ამა თუ იმ საგნის მნიშვნელობა, რაც გაზრდის მის დაინტერესებას მეცნიერებისადმი.

2014 წელს საკონკურსოდ დარეგისტრირდა 72 საპროექტო განაცხადი შემდეგი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, ეკოლოგია.
დაფინანსდა 14 პროექტი.
ბიუჯეტი - 83 115 ლარი.

სურათი 19. დაფინანსებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



ნორჩ გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ მიზანია ხელი შეუწყოს სწავლის დონის ამაღლებას, ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას; კონკურსი ღია და თანასწორი კონკურენციის პირობებში ავლენს გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს, სტიმულს აძლევს მათი შემოქმედებითი აზროვნების, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

2014 წლის კონკურსის შედეგად გამოვლინდა და დაჯილდოვდა 8 ნიჭიერი მოსწავლე.

გამარჯვებულები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ, სადაც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში უდიდესი კონკურსის „Intel-ის“ საერთაშორისო სამეცნიერო-საინჟინრო გამოფენაში „Intel ISEF“.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გრანპრი გადაეცა **თემურ ჩიჩუას, ალექსანდრე თოიძეს და ნიკოლოზ მინაშვილს** გამოგონებისთვის „კარბონის ორფენა კომპოზიტი“. I ადგილისა და 5 000 ლარის მფლობელები გახდნენ **ვახტანგ დონაძე და ირაკლი ჩხეიძე** პროექტით „გონიერი მაღვიძარა“; II ადგილი და 3 000 ლარი ერგოთ **ირაკლი კაპანაძესა და კარლო ხუციშვილს** პროექტით „მულტიკლიმატიზატორი“; III ადგილი და 2 000 ლარი გადაეცა **ნიკა ალავიძეს** პროექტით „მაღალი წნევის მილების ავარიის ლიკვიდაციის მექანიზმი“.

საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადები

„განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტებას, შერჩევა-მომზადებასა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი უკვე რამდენიმე წელია ახორციელებს.

ტრადიციულად გუნდები, 2014 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგების საფუძველზე, ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში წარმატებული მოსწავლეებისაგან დაკომპლექტდა 5 ნაკრები (43 მოსწავლე). 2014 წლის ივლისის თვეში საერთაშორისო ოლიმპიადებზე ეტაპობრივად გაემგზავრნენ ნაკრები გუნდების შემადგენლობები: ფიზიკის- ყაზახეში,

მათემატიკის-სამხრეთ აფრიკაში,
ინფორმატიკის- ტაივანში, ბიოლოგიის - ინდონეზია, ქიმიის- ვიეტნამში.

ბიუჯეტი - 235 909.6 ლარი

სურათი 20. საერთაშორისო ოლიმპიადაზე გამარჯვებული გუნდების მიერ მოპოვებული ჯილდოები



სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა

პროგრამა ითვალისწინებს ღიად გამოცხადებული საგრანტო კონკურსის საფუძველზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში ლაბორატორიული /ექსპერიმენტული პარკის განახლებას, ახალი კვლევითი დანადგარების, სათადარიგო ნაწილების, კვლევითი პროგრამების (კოდების) შეძენას; საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაზე ქართული აკადემიური კორპუსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. სამეცნიერო კვლევითი აპარატურის კონკურსში მონაწილეობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებით სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და გამომცემლობა „ELSEVIER BV-ის“ შორის 2014 წელს გაფორმდა „ELSEVIER-ის“ გამოწერის შეთანხმება, რომლის ფარგლებში შეიქმნა 21 ორგანიზაციისგან შემდგარი კონსორციუმი, რომელშიც გაერთიანებულია 14 სახელმწიფო უნივერსიტეტი, შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, 3 კვლევითი ცენტრი, 1 სამეცნიერო ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს ეროვნული მუზეუმი. აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სამეცნიერო საზოგადოებას აქვს სრული წვდომა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო გამომცემლობის „ELSEVIER-ის“ ბაზებთან (ScienceDirect, SCOPUS). დამატებით გამოწერილია SciVal Funding and Reviewer Finder შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სარგებლობისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსებში შემოსული პროექტების შეფასებისას საერთაშორისო ექსპერტების შერჩევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით. სამეცნიერო საინფორმაციო ბაზის პოტენციური მომხმარებელია სამეცნიერო კვლევებში ჩართული პრაქტიკულად ყველა მკლევარი და სტუდენტი.
სრული ბიუჯეტი 586 610 ევრო.

სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი

კონკურსის მიზანია აამაღლოს საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხი, გაზარდოს მეცნიერთათვის/მეცნიერთა ჯგუფებისათვის თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით აპარატურაზე ხელმისაწვდომობა და ამით ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებას.

2013 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტები 12 დეკემბერს გამოვლინდა. დაფინანსდა 20 პროექტი. ბიუჯეტი - 2 905 000 ლარი.

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „ქართული ელექტრონული ლექსიკონები“

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის მიზანია ქართული ელექტრონული ლექსიკოგრაფიული ბაზის ჩამოყალიბება, თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევათა საფუძველზე ზოგადი და სპეციალური ქართული ელექტრონული ლექსიკონების შექმნა.

2013 წელს ქართული ელექტრონული ლექსიკონების შექმნის მიზნით, სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში დარეგისტრირდა 59 საგრანტო პროექტი, რომელთაგანაც დაფინასება მოიპოვა 4 პროექტმა. ბიუჯეტი – 468 200 ლარი.

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას, მათ მოძიებას, აღრიცხვასა და სისტემატიზაციას, ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვას ამ სფეროში.

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2013 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ,,საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის” საკონკურსოდ დარეგისტრირდა 32 საპროექტო განაცხადი. დაფინანსდა 6 პროექტი. ბიუჯეტი - 1 741 201 ლარი.

2014 წელს მიმდინარე და დასრულებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტები

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2014 წელს გამოცხადა 17 საგრანტო კონკურსი.

1. მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი;
2. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი;
3. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი;
4. მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი
5. საკონფერენციო გრანტების კონკურსი;
6. უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი;
7. ახალგაზრდა მეციერთა უცხოეთში სამეცნერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი;
8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი;
9. ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი;
10. საზაფხულო სკოლის საგრანტო კონკურსი;
11. ნორჩ გამომგონებელთა კონკურსი - ”ლეონარდო და ვინჩი”;
12. სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი -"კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით";
13. 5 ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო კონკურსი.

გამოცხადებული კონკურსებიდან 2014 წელს დასრულდა 7 საგრანტო კონკურსის - 169 პროექტი. 2014 წელს დაფინანსებული კონკურსებიდან გრძელდება 11 საგრანტო კონკურსის - 212 პროექტი, 3 კონკურსის შედეგი ცნობილი იქნება 2015 წელს. 2014 წელს გრძელდება 2013 წელს დაფინანსებულიბული 6 საგრანტო კონკურსის - 296 პროექტი. 2014 წელს დასრულდა წინა წლების 14 საგრანტო კონკურსის - 220 პროექტი.

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ადმინისტრირება გაუწია 2014 წელს გამოცხადებულ, მიმდინარე და დასრულებულ 897 პროექტს.

სურათი 21.



ფინანსური ანგარიში

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ბიუჯეტმა 2014 წელს შეადგინა 22 543 898 ლარი, აქედან ფონდის მთელი ბიუჯეტის 95.10 % ფონდის პროგრამებსა და გრანტებზე დაიხარჯა, დანარჩენი 4.90 % ფონდის აპარატზე.

სურათი 1. ფონდის ბიუჯეტი 2014 წელს.

ფონდის ბიუჯეტი - 22 543 898 ლარი



სურათი 2. ფონდის პროგრამები და გრანტები - 2014 წლის პრიორიტეტების ბიუჯეტი - 2 761 561 ლარი



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროგრამების ფარგლებში 2014 წელს გამოცემული წიგნები



თამაზ გოგოლაძე
ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები(გზამკვლევი)

ნინო ხარშილაძე
კახეთის მეფე ალექსანდრე II - ის წერილობითი მემკვიდრეობა



შოთა მამულაძე
ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

ნინო ჩიქოვანი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, დავით მაცაბერიძე, ქეთევან კაკიტელაშვილი
იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან

ვლადიმერ ნაფეტვარიძე
ელექტრონული მმართველობის დამკვიდრების საკითხები საქართველოში



ნინო რიკიშვილი
ესპანური ენის ხმოვნებისა და თანხმოვნების დიაქრონიული ფონოტაქტიკა

Рисунок 1

ნატო სონღულაშვილი
საქართველო და დასავლეთი ურთიერთობის ძირითადი შტრიხები 1991-2000



ნათია შენგელია
ინვესტიციები და ეკონომიკური განვითარება, მათი აღრიცხვა და ანალიზი

ლელა მირცხულავა
„ახალი რეალიზმი“, როგორც ალტერნატივა პოსტმოდერნიზმისთვის და მასმედიის როლი მის განვითარებაში.

ლალი შავლიაშვილი, გიორგი კორძახია, ელიზბარ ელიზბარაშვილი, გულჩინა კუჭავა, ნელი ტულუში
ალაზნის ველის ნიადაგების საკითხები კლიმატის თანამედროვე ცვლილებების ფონზე



რატი აბულაძე
საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია

რუსლან ბარამიძე
საქართველოს მუსლიმური თემი და სახელმწიფო პოლიტიკა (1991-2012 წლები)

GogiPantsulaia
Selected Topics of Invariant Measures in Polish Groups



ჯ.ლომიძე, ს.ხმალაძე, ლ.გვენცაძე, ილ.ფალავანდიშვილი, ე. გოგიტაშვილი
თბილისის გამწვანებაში გამოყენებულ მერქნიან, დეკორატიულ-ბალახოვან მცენარეთა აღწერა ბაღ-პარკების ლანდშაფტურ-ესთეტიკური შეფასება და მათი კეთილმოწყობის ღონისძიებები

ნათია ფიფია
ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში - ბერძნული ახალშენები



დ.თავდიდიშვილი, მ.ფხაკაძე, ც.ხუციძე
თაფლისა და ფუტკრის პროდუქტების სამკურნალო-პროფიკაქტიკურ კვებაში გამოყენების მეცნიერეული და პრაქტიკული ასპექტები



მაყვალა მიქელაძე, არსენ ბერთლიანი, ქეთევან გიგაშვილი
წოვა თუშური ტექსტები

მაია შუხოშვილი
პლატონი პოლიტიკოსი



ნინო კიღურაძე, ეკა კვაჭანტირაძე, გიორგი სანიკიძე
ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიული ტრადიცია

ლევან ტიელიძე
საქართველოს მყინვარები



თეა ქართველიშვილი
ქართული ისტორიული დოკუმენტები



რ. მდივანი
მეკართოფილეობა

ზ.გაჩეჩილაძე, ნ.მაღრაძე, თ.მაღრაძე
კონკრეტული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება საქართველოში

ნათია მიროტაძე
ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიები